საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 5831/01
25/06/2020

5831-01-2-202006251525

შპს „მშენებელი 2020“-ს

მის: ქ. თბილისი, ნუცუბიძის 82, მე-4 სადარბაზო, ბინა 162

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 17 ივნისის სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალსოფელში, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას და გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები:

- წყალაღებისა და წყალჩაშვების წერტილების GPS კოორდინატები;
- საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობა;
- მტვერდამჭერი სისტემის დახასიათება (ტექნიკური პარამეტრები);
- ინფორმაცია იმის შესახებ, საიდან მოხდება ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული სასარგებლო წიაღისეულის შემოტანა;
- ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული გზების და ტრანსპორტირებით გამოწვეული ზემოქმედების შესახებ (დღის განმავლობაში განსახორციელებელი სავარაუდო სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა);
- სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების საკითხები;
- საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის საკითხები;
- ინფორმაცია კუმულაციური ზემოქმედების შესახებ.

სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ საწარმოს საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი პუნქტი დაშორებულია დაახლოებით 600 მ მანძილით. წარმოდგენილი მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 285 მეტრში ფიქსირდება დასახლებული პუნქტი, ხოლო დასავლეთით, დაახლოებით 53 მეტრში - ფიზიკურ პირზე რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 43.11.42.182), რომელზე განთავსებულია შენობა-ნაგებობა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილის შესახებ; ასევე დაზუსტებას საჭიროებს დანადგარის განთავსების GPS კოორდინატები;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც წარმოდგენილი იქნება სკრინინგის განცხადება აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე